სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

13/05/2025

MES 8 25 0000512251

ბრძანება

„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 სექტემბრის №1157656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 05 მაისის №484642 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 სექტემბრის №1157656 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

ხელმოწერილია
შემთანხმებლის
ელექტრონულად